

2022

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევ კონკურსში ელექტრონულად
მონაწილეობის მიღების წესი და პირობები



ცესკო

საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია


სარჩევი

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია	2
თავი 2. ოლქში გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადის წარდგენა.....	2
თავი 3. უბანზე გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადის წარდგენა.....	6
თავი 4. განაცხადის ძებნა.....	9

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია

იმისათვის, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შეძლოს განაცხადის ელექტრონულ ფორმატში გაგზავნა უნდა შევიდეს ვებ-გვერდზე konkursi.cec.gov.ge. საიტი შედგება რამოდენიმე ნაწილისგან :

- ოლქის კონკურსი
- უბნის კონკურსი
- საგანმანათლებლო პროექტები
- განაცხადის ძებნა



თავი 2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადის წარდგენა

ოლქის კონკურსში შესვლის შემდეგ გამოჩნდება საარჩევნო ოლქებში არსებული კონკურსები შემდეგი პარამეტრებით :

- კონკურსის სახელი

- კონკურსის ვადა
- სტატუსი
- განკარგულების pdf ფაილი


თითოეული კონკურსის ჭრილში განთავსებული იქნება ყველა ის საარჩევნო ოლქი, სადაც არის გამოცხადებული კონკურსი ასევე, მითითებული იქნება ინფორმაცია ინდივიდუალურად ყველა საარჩევნო ოლქში არსებული ვაკანტური ადგილის შესახებ.

იმისათვის, რომ კონკურსსანტმა კონკრეტულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს განაცხადი, საჭიროა დააჭიროს შესაბამის საარჩევნო ოლქს, დაჭერის შემდეგ გაიხსნება გვერდი სადაც უნდა შეიყვანოს პირადი ნომერი და გვარის მინიმუმ 3 სიმბოლო.

თუ კონკურსსანტი არ არის 21 წლის გამოვა შეტყობინება:

„თქვენ არ აკმაყოფილებთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კომდექსი“ მე-20 მუხლის მე-12 პუნქტს:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან.“



პირადი ნომრის ვალიდაციის გავლის შემდეგ, გაიხსნება განაცხადის შესავსები ფორმა. აღნიშნულ ფორმაში ავტომატურად ივსება შემდეგი ველები :

- საარჩევნო ოლქი ;

- პირადი ნომერი ;
- სახელი ;
- გვარი ;
- სქესი ;
- დაბადების თარიღი ;
- მისამართი.

კონკურსანტის მიერ აუცილებლად შესავსები ველებია :

- საკონტაქტო ტელეფონი;
- ელ. ფოსტის მისამართი;
- სამუშაო გამოცდილება;
- საარჩევნო გამოცდილება;
- პირადობის მოწმობის/საზღვარგარეთის პასპორტის ფოტო ასლი;
- დიპლომის ფოტო ასლი ;
- სერტიფიკატის ფოტო ასლი ;

ვაკანსიის ოლქი: *

სავალდებულო ველების შეუვსებლობის/არასწორედ შევსების შემთხვევაში დოკუმენტის გაგზავნა/განხილვა არ განხორციელდება!

პირადი ნომერი:

სახელი: *

გვარი: *

სქესი: *

დაბადების თარიღი: *

მისამართი: *

საკონტაქტო ტელეფონი: *


ელ. ფოსტა: *


სამუშაო გამოცდილება: *

საარჩევნო გამოცდილება:


სარეგისტრაციო კოდის მიღება

პირადობის ატვირთვა (jpg, jpeg, png) *


 წინა მხარის ატვირთვა ✘



 უკანა მხარის ატვირთვა ✘

დიპლომის ატვირთვა (jpg, jpeg, png) *


 დიპლომის ატვირთვა ✘

+

სერთიფიკატის ატვირთვა (jpg, jpeg, png) *


 სერთიფიკატის ატვირთვა ✘

სარეგისტრაციო კოდის მიღების დილაკზე დაჭერის შემდეგ, ფორმაზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე გამოიგზავნება ერთჯერადი კოდი, რომელიც უნდა შევიყვანოთ ვებგვერდზე შესაბამის ველებში და დავადასტუროთ.

შეიცვანეთ ერთგვარი კოდი რომელიც გამოგეგზავნათ SMS შეტყობინებად

დასტური

ვაკანსიის მოსაძებნად შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი და მობილური რომელიც მითითებული გქონდათ განაცხადის გამოგზავნისას.

მითითებულ ნომერზე მიიღებთ ერთგვარად კოდს, რომლის შეყვანის შემდეგ ნახავთ თქვენს მიერ გამოგზავნილ განაცხადს

განაცხადის წარმატებით გაგზავნის შემთხვევაში სისტემა გამოიტანს შემდეგ შეტყობინებას.



☰ ოლქის კონკურსი
☰ უბნის კონკურსი
☰ საბანანათლებლო პროექტები
🔍 განაცხადის ძიება

განაცხადი გამოგზავნილია. განაცხადის სტიტუსის გადამოწმება შეგიძლიათ "განაცხადის ძიების" გვერდზე

თავი 3. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადის წარდგენა

უბნის კონკურსში შესვლის შემდეგ გამოჩნდება უბნებზე არსებული კონკურსები შემდეგი პარამეტრებით :


- კონკურსის სახელი;
- კონკურსის ვადა;
- განკარგულების pdf ფაილი;

თითოეული კონკურსის ჭრილში განთავსებული იქნება ყველა ის საარჩევნო ოლქი და შესაბამისი საარჩევნო უბნები, სადაც არის გამოცხადებული კონკურსი ასევე მითითებული

კონკურსში ელექტრონულად მონაწილეობის მიღების წესი და პირობები

იქნება ინფორმაცია ინდივიდუალურად ყველა საარჩევნო უბანზე არსებული ვაკანტური ადგილის შესახებ.

იმისათვის, რომ კონკურსანტმა კონკრეტულ საარჩევნო უბანზე წარმოადგინოს განაცხადი, საჭიროა დააჭიროს შესაბამისი საარჩევნო უბნის ნომერს. საარჩევნო უბნის ნომერზე დაჭერის შემდეგ გაიხსნება გვერდი სადაც უნდა შეიყვანოს კონკურსანტმა პირადი ნომერი და გვარის მინიმუმ 3 სიმბოლო.



პირადი ნომრის ვალიდაციის გავლის შემდეგ გაიხსნება განაცხადის შესავსები ფორმა. აღნიშნულ ფორმაში ავტომატურად ივსება შემდეგი ველები:

- ოლქი;
- უბნის ნომერი;
- პირადი ნომერი;
- სახელი;
- გვარი;
- სქესი;
- დაბადების თარიღი;
- მისამართი.

კონკურსანტის მიერ არასავალდებულო შესავსები ველები:

- ელ. ფოსტის მისამართი;
- საარჩევნო გამოცდილება;
- სამუშაო გამოცდილება;

კონკურსანტის მიერ აუცილებლად შესავსები ველებია:

- საკონტაქტო ტელეფონი;
- პირადობის მოწმობის/საზღვარგარეთის პასპორტის ფოტო ასლი;

ასევე კონკურსანტმა უნდა მონიშნოს ტექსტი : ვაკმაყოფილებ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 24-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

გაკანსიის ოლქი: *

გაკანსიის უბანი: *

პირადი ნომერი:

სახელი: *

გვარი: *

სქესი: *

დაბადების თარიღი: *

მისამართი: *

საკონტაქტო ტელეფონი: *

ელ. ფოსტა:

სამუშაო გამოცდილება:

საარჩევნო გამოცდილება:

ვაკმაყოფილებ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 24-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს *

სავალდებულო ველების შევსებულობის/არასწორედ შევსების შემთხვევაში დოკუმენტის გაგზავნა/განხილვა არ განხორციელდება!

პირადობის ატვირთვა (pdf, jpeg, jpg, png) *

📎

ნინა მხარის ატვირთვა ✘

📎

უკანა მხარის ატვირთვა ✘

სარეგისტრაციო კოდის მიღება

სარეგისტრაციო კოდის მიღების ღილაკზე დაჭერის შემდეგ ფორმაზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე გამოიგზავნება ერთჯერადი კოდი, რომელიც უნდა შევიყვანოთ ვებ-გვერდზე შესაბამის ველებში და დავადასტუროთ.




განაცხადის წარმატებით გაგზავნის შემთხვევაში სისტემა გამოიტანს შემდეგ შეტყობინებას.



თავი 4. განაცხადის ძებნა

განაცხადის ძებნის ჩანართი საშუალებას გვძლევს მოვიძიოთ ინფორმაცია, ჩვენს მიერ გაგზავნილი განაცხადის სტატუსის შესახებ. იმისათვის, რომ მოვძებნოთ გაგზავნილი განაცხადი საჭიროა შესაბამის ველებში შევიყვანოთ პირადი ნომერი და განაცხადში მითითებული ტელეფონის ნომერი.



პირადი ნომრის და ტელეფონის იდენტიფიცირების შემდეგ გამოიგზავნება ერთჯერადი კოდი მითითებულ ნომერზე, რომელიც უნდა შევიყვანოთ შესაბამის ველში და დავადასტუროთ.




დადასტურების შემდეგ სისტემა მოგვიძებნის ჩვენს მიერ გაგზავნილ განაცხადს სტატუსთან ერთად.

კონკურსანტის მიერ გაგზავნილი განაცხადის სტატუსები შესაძლოა იყოს:


- აქტიური (საწყისი სტატუსი);
- პროცესში (აღნიშნული სტატუსი ენიჭება მაშინ, როდესაც იწყება განაცხადის დამუშავება);
- დახარვეზებული (სტატუსი გულისხმობს დოკუმენტურ ხარვეზს);
- შემოწმებული (როდესაც დოკუმენტურად განაცხადი წესრიგშია);
- კვეთის ხარვეზი (ეს სტატუსი ენიჭება მაშინ თუ პიროვნება უკვე რეგისტრირებულია სხვაგან);
- დადასტურებული (როდესაც განაცხადი აკმაყოფილებს პირობებს).

აქტიურ და დახარვეზებულ სტატუსში კონკურსანტს შეუძლია მის მიერ გამოგზავნილი განაცხადის რედაქტირება. ამისათვის უნდა დააჭიროს ღილაკს „რედაქტირება“.



რედაქტირების ღილაკზე დაჭერის შემდეგ გაიხსნება განაცხადის ფორმა და კონკურსანტი შეძლებს გამოგზავნილი ინფორმაციის რედაქტირებას.

განაცხადის ძებნის ჩანართიდან კონკურსანტს ასევე შეუძლია უარი განაცხადის კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე. ამისათვის მან უნდა დააჭიროს ღილაკს „უარი“.



იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტს რომელიმე საარჩევნო ოლქში ან საარჩევნო უბანზე უკვე გაკეთებული აქვს განაცხადი, მას არ შეეძლება სხვა საარჩევნო ოლქში ან საარჩევნო უბანზე კვლავ გააკეთოს განაცხადი. თუ სურს სხვა საარჩევნო ოლქში ან საარჩევნო უბანზე განაცხადის წარდგენა, ამისათვის კონკურსანტმა არსებულ განაცხადზე უნდა განაცხადოს უარი **უარი** ღილაკის საშუალებით.